თამარ ცხადაძე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანასწორობის კონცეპტის როლი თომას ჰობსისა და ჯონ როლზის პოლიტიკურ ფილოსოფიებში

ამ წერილის თემა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ეხება ადამიანთა თანასწორობის ცნების ადგილს ჰობსის და როლზის პოლიტიკურ თეორიებში. ერთი შეხედვით შეიძლება უცნაური ჩანდეს ამ ორი ავტორის თვალსაზრისის გვერდი-გვერდ განხილვა და, ამასთან, შედარების პუნქტად თანასწორობის იდეის გამორჩევა. მართალია, როლზი საზოგადოებრივიხელშეკრულების თეორიების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი განმავითარებელიამე-20 საუკუნეში - თეორიისა, რომელიც ჰობსის თეორიის ყველაზე გამორჩეულნიშნადაა ცნობილი, მაგრამ ამ ორი ავტორის ნააზრევს შორის საინტერესო კავშირების ძებნანაკლებად მიიჩნევა ნაყოფიერ წამოწყებად. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან ცოტას შეხვდებით კვლევას, რომელიც ამ ორი ფილოსოფოსის ნააზრევზე, მათ შედარებაზე ან შეპირისპირებაზეა კონცენტრირებული. თვითონ როლზიც, როცა თავს საზოგადოებრივი ხელშეკრულების ტრადიციას მიაკუთვნებს და ამ ტრადიციაში წინამორბედების იდეებს მიმოიხილავს, ემყარება ლოკს, რუსოსა და კანტს და ვრცლად მიმოიხილავს მათ, ხოლო ჰობსს, რომელიც, მისი სიტყვებით „განსაკუთრებულ პრობლემებს წამოჭრის“, მიზანმიმართულად გვერდს უვლის (Rawls, 1999 (1971): 10) და ძალიან მცირე დროს უთმობს თავის გამორჩეულად სქელტანიან და დეტალურად არტიკულირებულ შრომებში. ამის მიუხედავად, ვფიქრობ და ვეცდები ვაჩვენო, რომ ამ ორი ავტორის მიერ თანასწორობის ცნების გამოყენება სინტერესო ურთიერთმიმართებაშია და მათზე ერთდროულად ფიქრი სასარგებლო იქნება თითოეული მათგანის თეორიის რამდენიმე წახნაგის გამოსაკვეთად. ამისათვის ჯერ მოკლედ შევაჯამებ, როგორ ფიგურირებს ადამიანთა თანასწორობის შესახებ წარმოდგენა თითოეული ავტორის სქემაში.

ჰობსის პოლიტიკურ თეორიაში თანასწორობის იდეის მნიშვნელობაზე ლაპარაკი სამართლიანად გამოიწვევს გაკვირვებას და ამიტომ დროზე უნდა ავხსნა, რა მაქვს მხედველობაში. მართალია, ჰობსის შესახებ სახელმძღვანელოს დონის ჭეშმარიტებაა, რომ სახელმწიფო ძალაუფლების თავის თეორიას ის არ აფუძნებს ისეთ ნორმატიულ

ცნებებზე, როგორებადაც გვევლინება თანასწორობა ან თავისუფლება ახალი დროიდან წამოსულპოლიტიკურ ფილოსოფიებში, მაგრამ მის თეორიულ კონსტრუქციაში ადამიანთა თანასწორობის პოსტულატი მაინც ასრულებს მნიშვნელოვან როლს. ოღონდ, ეს დაშვება აქ ფიგურირებს არა როგორც ნორმატიული მტკიცება, არამედ როგორც დესკრიფციული, ფაქტობრივი მტკიცება ადამიანთა ბუნებითი მდგომარეობის შესახებ.„ლევიათანში“ბუნებითი მდგომარეობის დახასიათება სწორედ ამ მტკიცებით იწყება: „ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენადაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო“ (ჰობსი, 2014: 219). ამ ნაწყვეტის ბოლო ნაწილის ნორმატიულმა ჟღერადობამ (ფრაზებმა „მეკუთვნის“ და „პრეტენზია ვერ ექნება“) არ უნდა შეგვაცდინოს - ჰობსი არ გულისხმობს, რომ ფიზიკური ან გონებრივი უნარებით (დაახლოებით) თანასწორობა საფუძვლად ედება თანასწორობის რაიმე ნორმატიულ პრინციპს. კარგადაა ცნობილი, რომ ჰობსისთვის ბუნებით მდგომარეობაში არანაირი კანონები, ნორმების აზრით, არ არსებობს. მართლაც, ამ მონაკვეთს ჰობსი აგრძელებს მსჯელობით, რომ მიუხედავად ადამიანების უნარებს შორის გარკვეული განსხვავებებისა, ისინი არ არის იმხელა, რომ რომელიმე მათგანს სხვებზე უპირატესობის მოპოვების გარანტია შეუქმნას. ხოლო აქედან გადადის დასკვნაზე, რომ „უნარების თანასწორობიდან მიზნების მიღწევის თანაბარი იმედიც გამომდინარეობს“ (ჰობსი, 2014: 220). ამრიგად, არსებითი თანასწორობა, რომელიც ბუნებით მდგომარეობას ახასიათებს, არის შანსების, პერსპექტივის თანასწორობა - გადარჩენის თუ სასურველის მოპოვების საქმეში.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ეს თანასწორობაა ის, რაც ყველას წინააღმდეგ ყველას ომის მდგომარეობას განაპირობებს.რომ არა შანსების თანასწორობა, ბუნებითი მდგომარეობის ჰობსისეული აღწერა არ იქნებოდა პატიმრის დილემის მსგავსიმდგომარეობა, რომელშიც რაციონალურ თვითდაინტერესებულ აგენტებსარ შეუძლიათ რაციონალურად მივიდნენ ოპტიმალურ არჩევანთან: მართალია, ყველას საუკეთესო ინტერესშია მშვიდობა, მაგრამ რაციონალური არჩევანიყველასთვის არის

ომის სტრატეგია.[1]მართლაც, რაციონალური არჩევანის ამოცანას სხვა პასუხი ექნებოდა, სიტუაცია ასეთი სიმეტრიული - თანასწორი - რომ არ ყოფილიყო: თუ წარმატების შანსები არსებითადგანსხვავებული იქნებოდა, მაშინ სხვადასხვა ძალის მქონე ინდივიდებს შორის კონკურენციის პირობებში ომის სტრატეგია არ იქნებოდა რაციონალური არჩევანი არც ძლიერი და არც სუსტი მხარისათვის, ან, ჰობსის, ტერმინებით, არ იქნებოდა ბუნებითი კანონით განპირობებული (ამას შეიძლებაუკავშირდებოდესკონსერვატორებისა დ სხვა ანტიეგალიტარიანელების მიერ ეგლიტარიზმის კრიტიკა და იერარქიების, როგორცსოციალური სტაბილურობის წყაროს დაცვა, თუმცა, ეს ამ წერილისთემასშორდება).[2]ამრიგად, არსებითი ფაქტობრივი თანასწორობაა ბუნებითი მდგომარეობის ის პარამეტრი, რომელიც ომის სტრატეგიას აქცევს რაციონალურ არჩევანად მონაწილე მხარეებისთვის. ამ მოდელის მიხედვით, მშვიდობის უზრუნველსაყოფად (რომელიც მხარეთა საუკეთეოს ინტერესია)სახელმწიფო ძალაუფლების სახით მაკონტროლებელი ინსტანციის შექმნა ინტერპრეტირდება, როგორც თამაშის პირობების შეცვლა - მათი ისე გარდაქმნა, რომ ახალ თამაშში მშვიდობის სტრატეგიაარაციონალური არჩევანი ყველა მონაწილე მხარისათვის (ალბათ, თვითონ სუვერენის გარდა, რომელიც არც არის მხარე თამაშში). ანუ, ეს არ იქნება არჩევანი იმავე თამაშის ფარგლებში, არამედ მეტა-საფეხურის გადაწყვეტილება არჩევანის სიტუაციის შეცვლაზე.რასაკვირველია, ჰობსის არგუმენტს შეგვიძლია თამაშების თეორია სხვაგვარადაც მოვარგოთ - ისე, რომ საბოლოო გამოსავალი - სახელმწიფო ძალაუფლების შექმნა, როგორც ომის ალტერნატივა - თვითონ თამაშში შევიტანოთ ერთ-ერთ შესაძლო სტრატეგიად. მაგრამ ეს არსებითად არ შეცვლის ვითარებას, რომელზეც მე ვამახვილებ ყურადღებას: რომ მონაწილეთა რეალური თანასწორობა (შანსების თვალსაზრისით) ბუნებითი მდგომარეობის, როგორც

[1] ბუნებითი მდგომარეობის ჰობსისეული აღწერას რომ პატიმრის დილემის სტრუქტურა აქვს, ამას როლზიც მიუთითებს (Rawls, 1999 (1971): 238). სხვა ავტორებთანაც შევხვდებით თამაშის თეორიის ცნებებით მის ანალიზს, თუმცა, ავტორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ ზუსტად რა სტრუქტურის თამაშის მოდელით უნდა გავაანალიზოთ ბუნებითი მდგმარეობა (მაგალითად, იხილეთ Gauthier 1967, Peacock 2005, Chung 2015, Crettez 2017).

[2] ზოგიერთი ავტორი შანსების ფაქტობრივი თანასწორობის ნაცვლად, ხაზს უსვამს გაურკვევლობას, როგორც ბუნებით მდგომარეობაში რაცინალური არჩევანის სიტუაციის არსებით პარამეტრს (Chung 2015). ჩემი წინასწარი შეფასებით, ამ ორ თვალსაზრისს შორის არსებითი განსხვავება არ არის. თუმცა, ამ კონტექსტში ამ საკითხის გადაწყვეტა არსებითი არც არის.

არჩევანის სიტუაციის, გადამწყვეტი სტრუქტურული მახასიათებელია (მონაწილე მხარეების, როგორც ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი რაციონალური და თვითდაინტერესებული აგენტების, გაგებასთან ერთად).

ახლა ვნახოთ, რა როლს ასრულებს თანასწორობის ცნება როლზის სქემაში. წინასწარ ვიტყვი, რომ ის აქ რამდენიმე დონეზე ფიგურირებს და თითქმის ყველგან ნორმატიული და არა ფაქტობრივი, დესკრიფციული მნიშვნელობით. თუმცა, ვეცდები გამოვკვეთო ამ ცნების გამოყენების ერთი დონე, სადაც ის უფრო თეორიულ ინსტრუმენტად გვევლინება, ვიდრე ნორმატიულ პრინციპად.

ძალიან მოკლედ რომ შევაჯამოთ კონტექსტი, რომელშც თანასწორობის იდეის როლს განვიხილავთ, ასეთია: როლზისამოცანაა, დაადგინოს ზოგადი პრინციპები, რომლებიც საზოგადოების ბაზისური სტრუქტურების სამართლიანობას („სოციალური ინსტიტუტების უმთავრეს სათნოებას“) განსაზღვრავს. როლზი თავის თეორიას წარმოადგენს, როგორც ლოკის, რუსოს და კანტისსაზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების განვითარებას. ხელშეკრულების მთავარი იდეა მისთვის ესაა: სოციალური ეთიკის პრინციპები უნდა დადგინდეს იმის მიხედვით, მიიღებდნენ თუ არა მათ თანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებული, თავისუფალი,თვითდაინტერესებული და რაციონალური აგენტები თავიანთი თანაცხოვრების ფუნდამენტური მხარეების განმსაზღვრელად და თავიანთი ურთიერთობების დასარეგულირებლად. სამართლიანობის ასეთ გაგებას როლზი უწოდებს „სამართლიანობას, როგორც კეთილსინდისიერებას“ (justice as fairness). ჰიპოთეტურ სიტუაციას, რომელშიც ხდება სამართლიანობის პრინციპების არჩევა, ის „საწყის პოზიციას“უწოდებს და მას კიდევ დამატებით შეზღუდვებს უწესებს, რათა კეთილსინდისიერების პირობები დაკმაყოფილოს: გარდა საწყის მდგომარეობაში მონაწილე ინდივიდების არჩევანში თავისუფლებისა და თანასწორობისა, არსებითი შეზღუდვააე. წ. „არცოდნის საბურველი“: გადაწყვეტილებაში მონაწილე არც ერთმა აგენტმა არ უნდა იცოდეს საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობის, სიმდიდრის, უნარების და ა. შ., და თვით საკუთარი მსოფლმხედველობისა და ღირებულებითი სისტემის შესახებ - ანუ მათ არჩევანზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს კონკრეტულმა ინტერესებმა ან ვინმეს ბუნებრივმა თუ სოციალურმა უპირატესობებმა (Rawls 1999 (1971): 11). როლზი ამტკიცებს, რომ ასეთ პირობებში რაციონალური თვითდაინტერესებული აგენტები სამართლიანობის განმსაზღვრელად აირჩევენ ორ პრინციპს (მათ თანასწორობის ორ

პრინციპს უწოდებს): პირველი მოითხოვს ყველასთვის ერთნაირ ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო მეორის თანახმად სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუეს უთანასწორობა აუმჯობესებს მათ მდგომარეობას, ვინც ყველაზე უარეს მდგომარეობაშია (იქვე: 13). ან, სხვა სიტყვებით, თუ ასეთი უთანასწორობის გარეშე უარესად იქნებოდა ყველაზე უარესად მყოფი.

როგორც ამ მოკლე შეჯამებაშიც ჩანს, როლზის სქემაში თანასწორობა სამ სხვადასხვა დონეზე ფუგურირებს, როგორც მოთხოვნა, ნორმატიული მნიშვნელობით:მესამეადონე, რომელზეც თანასწორობა გვევლინება სამართლიანობის ორი პრინციპის შინაარსად. ეს როლზის ნორმატიული თეორიის არსებითი შინაარსია, რომლის გამოყვანასაც ემსახურება კონტრაქტის, საწყისი მდგომარეობისა და რაციონალური არჩევანის თეორიული ინსტრუმენტები.პირველი დონეა საწყის მდგომარეობაში მონაწილე ყველა რაციონალური აგენტისთანასწორობა,როგორც კონტრაქტის მხარეებისა. აქ თანასწორობა პოსტულირებულია (განსხვავებით მესამე დონისგან, სადაც ის გამოყვანილია), როგორც ნორმატიული პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონტრაქტის საწყისი სიტუაცია, რათა ის კეთილსინდისიერების (fairness) კრიტერიუმებს პასუხობდეს. როლზი ამ შეზღუდვაზე ბევრს არაფერს ამბობს - მისთვის უდავო ინტუიციური სიცხადე ან ანალიზური ჭეშმარიტებაა ის, რომ კეთილსინდისიერი კონტრაქტი მონაწილეთა თანასწორობას გულისხმობს.თანასწორობა, როგორც ის ამ ორ დონეზე ფიგურირებს როლზის სქემაში, ძალიან განსხვავდება თანასწორობის იმ ცნებისგან, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჰობსის სქემისთვისაა მნიშვნელოვანი. როლზთან ორივე ექსპლიციტურად ნორმატიული ცნებაა, რომელთაგანაც ერთი კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მინიმალურ პირობას განსაზღვრავს, ხოლო მეორე - საზოგადოებრივ ინსტიტუტების სამართლიანობის პრინციპებს.

ჩვენს კონტექსტში უფრო საინტერესოა კიდევ ერთი - შუა - დონე, რომელზეც თანასწორობა ფიგურირებს როლზის სქემაში. ეს არის საწყისი მდგომარეობაში მყოფი რაციონალური აგენტების შეზღუდვა „არცოდნის საბურველით“, რომელიც გადამწყვეტია როლზის არგუმენტისთვის. შეიძლება არც ისე აშკარაა, რომ „არცოდნის საბურველით“ შემოტანილი შეზღუდვა ისევ თანასწორობის პრინციპია, კიდევ რომელიმე სხვა აზრით, ვიდრე თანასწორობის პირველი მოთხოვნაა ხელშეკრულების

საწყისი მდგომარეობის მიმართ.ერთი ფართოდ აღიარებული ინტერპრეტაციით, არცოდნის საბურველი უზრუნვლყოფს მორალური თვალსაზრისისთვის აუცილებელ მიუკერძოებლობას (ან, უფრო მკაცრი გაგებით, უნივერსალიზებადობას) - შესაბამისად, მისი მიღება მორალურ თვალსაზრისზე დადგომისაუცილებელი კომპონენტია (Nussbaum 2003: 494, 496). ამ ინტერპრეტაციასთან თანხმობაშია როლზის ტექსტის ის პასაჟებიც, სადაც არცოდნის საბურველის ფუნქციაა ახსნილი: ის „უზრუნველყოფს, რომ პრინციპების არჩევისას არავინ აღმოჩნდება მომგებიან ან წამგებიან მდგომარეობაში ბუნებრივი ან სოციალური გარემოებების შემთხვევითობის შედეგად“ (Rawls 1999 (1971): 11); მისი ფუნქციაა „იმ სპეციფიკური შემთხვევითობების შედეგების განეიტრალება, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებს და აცდუნებს, სოციალური და ბუნებრივი გარემოებები თავიანთი სარგებლობისთვის გამოიყენონ“ (იქვე: 118). სხვა სიტყვებით, არცოდნა უზრუნველყოფს, რომ სამართლიანობის პრინციპები არ იქნება მიკერძოებული მათ სასარგებლოდ, ვისაც, ამა თუ იმ აზრით, მეტად გაუმართლა. თუმცა, ეს ინტერპრეტაცია არ გამორიცხავსიმ აზრს, რომ არცოდნის საბურველი, ისევე, როგორც თვითონ მიუკერძოებლობის მოთხოვნა, რომელსაც ის უზრუნველყოფს, ემყარება თანასწორობის ნორმატიულ იდეას: არსებითად, სწორედ თანასწორობის ნორმატიული იდეაა ის ინტუიცია, რომელიც საფუძვლად უდევს ხედვას, რომ მორალური თვალსაზრისის აუცილებელი კომპონენტია მიუკერძოებლობა და რომ სამართლიანობა „სოციალური თუ ბუნებრივი შემთხვევითობების“ შედეგებისგანგანცალკევებული უნდა იყოს.

ამრიგად, მივიღეთ, რომ თანასწორობა როლზის სქემაში სამივე განხილულ დონეზე ნორმატიული მნიშვნელობით ფიგურირებს. ხოლო ჰობსთან, როგორც ვნახეთ, ის ფაქტობივიპოსტულატის მნიშვნელობითასრულებს თავის ფუნქციას. ამოიწურება კი ამ კონტრასტით ამ ორი მოაზროვნის აღნიშნული თვალსაზრისით შედარება? ვფიქრობ, რომ ასე არ არის და ამ საკითხზე მეტის თქმა შიძლება. ამის დასანახად ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორ ასრულებს არცოდნის საბურველითავის ფუნქციას როლზის სქემაში. ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, მისი საქმეა,უზრუნველყოს საწყისი მდგომარეობის კონსტრუქციისშესაბამისობა მიუკერძოებლობის ან თანასწორობის ნორმატიულ პრინციპთან. მაგრამ, მეორე მხრივ, ის ამას აკეთებს იმით, რომაფიქსირებს რაციონალური არჩევანის სიტუაციის იმ გადამწყვეტ პარამეტრებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ამ სიტუაციაში მყოფი თვითდაინტერესებული აგენტებისთვის

რაციონალური არჩევანი სწორედ ის, თანასწორობის ორი პრინციპი იქნება, რომლებიც,როლზის თეორიის თანახმად, სამართლიანობის არსებით შინაარსს განსაზღვრავს.ამრიგად, არცოდნის საბურველი როლზთან არა მხოლოდ ნორმატიული პრინციპია, არამედ, ასევე არის თეორიული ინსტრუმენტი და, როგორც თეორიული ინსტრუმენტი, ის საკმაოდანალოგიურია იმ თეორიული ინსტრუმენტისა, რომლადაც ჰობსთან თანასწორობის ფაქტობრივი მტკიცება გვევლინება.

მართლაც, რაციონალური არჩევანის როლზისეულ სიტუაციაში აგენტები თანასწორობის ორი პრინციპის არჩევამდე მიდიან გადაწყვეტილების ე. წ. მაქსიმინის (რისკის შემცირების) წესის გამოყენებით (Rawls 1971: 133); ხოლო ამ წესის გამოყენებას და მისით მიღწეულ შედეგს უზრუნველყოფს სწორედ არცოდნის საბურველი, რომლის გამოც თითოეული აგენტი არჩევანს აკეთებს ისე, რომ არ იცის საკუთარი მდგომარეობა სოციალურ იერარქიებში, შესაბამისად, არ იცის საკუთარი შანსები სხვების წინააღმდეგ. ამრიგად, როლზის სქემაში არცოდნის საბურველის, როგორც თეორიული ინსტრუმენტის, ფუნქციაა გაურკვევლობის შემოტანა არჩევანის სიტუაციაში. როგორც ზემოთ ვნახეთ, არჩევანის სიტუაციაში ასეთი გაურკვევლობის შემომტანი ჰობსის შემთხვევაში თანასწორობის ფაქტობრივი მტკიცება იყო.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად განსხვავებულ შედეგებთან მიდიან ჰობსი და როლზი რაციონალური არჩევანის მოდელის გამოყენებით და რამდენად განსხვავდება ის ზუსტი პარამეტრები, რომლებითაც თითოეული მათგანი არჩევანის სიტუაციას ასტრუქტურირებს, იმედი მაქვს, ვაჩვენე, რომ ეს საინტერესო პარალელი არსებობს მათ კონსტრუქციებში: ორივესთვის არსებითია გაურკვევლობის ელემენტი და გაურკვევლობის ელემენტს ორივესთან ასე თუ ისე გაგებული თანასწორობა უზრუნველყოფს. ჰობსთან ეს არის ბუნებით მდგომარეობაში ადამიანთა პრინციპული ფაქტობრივი თანასწორობა შანსების თვალსაზრისით; ხოლო როლზთან ეს არის არცოდნის საბურველი, რომლის მეშვეობითაც ხდებააბსტრაჰირება ფაქტობრივად არსებული სოციალური თუ ბუნებრივი განსხვავებებიდან.

აბსტრაქტი

თანასწორობის კონცეპტის როლი თომას ჰობსისა და ჯონ როლზის პოლიტიკურ ფილოსოფიებში

თამარ ცხადაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წერილი შეეხება იმ როლს, რომელსაც ადამიანთა თანასწორობის ცნება ასრულებს, ერთი მხრივ, თომას ჰობსისა და, მეორე მხრივ, ჯონ როლზის თეორიებში პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სამართლიანობის შესახებ. ანალიზის ერთდონეზე, თანასწორობის ცნებას ამ ორი ავტორის ნააზრევში სრულიადსხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: ჰობსის არგუმენტაციაში თანასწორობის მტკიცება არა ნორმატიული, არამედ დესკრიპციული, ფაქტობრივი მტკიცების სტატუსით ფიგურირებს, რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების წინაპირობების არსებით ასპექტს აღწერს; ხოლო როლზის თეორიაში კი თანასწორობა ის ნორმატიული პრინციპია, რომელიც საზოგადებრივი ხელშეკრულების ჰიპოთეტური სიტუაციის უპირველესი შედეგი უნდა იყოს. ამ განსხვავების მიუხედავად, ვეცდები ვაჩვენო, რომ ამ ორ კონცეფციაში თანასწორობის ცნების როლი ბევრად უფორო ახლოსაა ერთმანეთთან. სახელდობრ, ჰობსის სქემაში თანასწორობის მტკიცების როლი ანალოგიურია როლისა, რომელსაც როლზის სქემაში არცოდნის საბურველი ასრულებს.

Tamar Tskhadadze, Ilia State University, Associate Professor

The Role of the Concept of Equality in Political Philosophies of Thomas Hobbes and John Rawls

The paper will deal with the role played by the concept of equality in the theories of Thomas Hobbes and John Rawls about the legitimation of political power and the justice of social institutions, respectively. On one level of analysis, the concept of equality in the thought of these two authors figures with completely different meanings: in Hobbes' argument, the assertion of equality has a descriptive, factual status, rather than a normative one – it describes an essential aspect of the preconditions of the social contract; while in Rawls' theory, equality is the normative principle, which is the first consequence of the hypothetical situation of the social contract. This disparity notwithstanding, I will argue that the concept of equality has much more similar roles in these two conceptions. Specifically, the role of the assertion of equality in the Hobbesian schema is analogous to the role played by the veil of ignorance in the Rawlsian one.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჰობსი თომას, „ლევიათანი“ // შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, გვ. 219-232, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 2014.

Chung, H. (2015). Hobbes's State of Nature: A Modern Bayesian Game-Theoretic Analysis. Journal of the American Philosophical Association, 1(3), 485-508. https://doi.org/10.1017/apa.2015.12

Crettez, B. (2017). On Hobbes's state of nature and game theory. Theory and Decisions, Volume 83, Issue 4, pp. 499–511. https://doi.org/10.1007/s11238-017-9626-8

Gauthier,D. (1967). Morality and Advantage.Philosophical Review 76 (4): 460-475

Nussbaum, M. (2003).Rawls and Feminism. The Cambridge Companion to Rawls, ed. by S. Freeman,pp. 488-520. Cambridge University Press.

Peacock,M. S. (2005). Rationality in Leviathan: Hobbes and his game-theoretic admirers. The European Journal of the History of Economic Thought, 12:2, 191-213. https://doi.org/10.1080/09672560500112678

Rawls, J. (1999 (1971)). A Theory of Justice. Rev. ed. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts.